ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № სშ/18-086

ქ. ბათუმი 13 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ზუგო”** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის გენადი ტაკიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, „ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე::

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **10000 (ათი ათასი)** ცალი **ნარჩენების შესაგროვებელი პოლიეთილენის პარკის** (შემდგომში–საქონელი) მიწოდება.
კლასიფიკატორის კოდი – **CPV 19640000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. 1 (ერთი) ცალი პოლიეთილენის პარკის ღირებულება შეადგენს **0,18** (ნული ლარი, 18 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1800** (ერთი ათას რვაასი) ლარი.
2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუმეტეს 30 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.
4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი – დავით დევაძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი – დავით დევაძე.
7.2. ინსპექტირების მიზანია მოწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02 % ოდენობით.

9.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სანდასუფთავება“	შპს „ზუგო“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	გენ. აბაშიძის მე–2 შესახვევი #2
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445390210
სს „ლიბერთი ბანკი“	სს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კოდი: LIBRGE22	ბ/კოდი: MIBBGE22
ა/ა GE14LB0610005734020009	ა/ა GE65PC0036001000442 17
შპს „სანდასუფთავება“	შპს „ზუგო“
დირექტორი	დირექტორი
დავით დუმბაძე	გენადი ტაკიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2018 წლის 13 ივლისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „სანდასუფთავებას დირექტორი დავით დუმბაძე და მატერიალურ ფასეულობათა სამსახურის უფროსი დავით დეკაძე, ვადასტურებთ, რომ შპს „ზუგო"-სთან, 10000 ცალი პოლიეთილენის პარკის შესყიდვაში, 2018 წლის 13 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №სშ/18-086-ით ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერეთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება"-ს დირექტორი

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება"-ს მატერიალურ ფასეულობათა

მართვის სამსახურის უფროსი

დავით დეკაძე